


— ჩვენი თავმჯდომარე უხისხლოდ გადაურჩა რევოლუციის თავდასხმას.  
 — ???  
 — არც ერთი გოჭი და ქათამი არ დაუკლავს!

მისაღოცად აქვს საქმე?

ნახ. დონისა



— როგორ? რევოლუციამ ვერაფერი გიპოვა საწყობში, გადარჩენილხარ, მომილოცავს!  
 — რას მილოცავ, კაცო! სწორედ მაგან დამლუპა, რომ ვერაფერი მიპოვეს.

უოლ-სტრიტზე ჩოჩქოლი იყო. ბიზნესმენები, ბირჟის საქმოსნები, სენსაციების მაძიებელი რეპორტიორები და არა მარტო ისინი, თვით მათი შეფები—ქორიკანა გაზეთების ხელმძღვანელებიც წაღმა-უკუღმა დაჰქროდნენ. ჰერსტის მთავარი კლუბის დიდი შენობის წინ თავს იყრიდნენ მანქანები და იქიდან ქშენით გადმოსული სახეშეკმუხნილი ადამიანები პირდაპირ ლიფტისკენ ეშურებოდნენ.

— რალაც დიდი ამბავი უნდა იყოს, ალლან!—მიმართა გარდერობის გამგემ მეკარე ალლანს,—ამდენი საქმიანი ხალხი იყრის დღეს თავს მისტერ ჰერსტთან, თანაც ყველა ისე შემუფთოებული სჩანს, რომ...

— დიდ ამბავს ელიან საბჭოთა კავშირიდანო,—მიუგო მცოდნე კაცის კილოზე ალლანმა.

\* \* \*

ჰერსტის კლუბში შევიხედეთ. ვეებერთელა დარბაზი გაქედილი იყო ამ მოთხრობის პირველ აბზაცში აღწერილი ხალხით. აღსანიშნავი ის იყო, რომ ყველა მათგანი ცდილობდა ოპტიმისტური გამომეტყველება მიეღო, მაგრამ რაც უფრო მეტად ცდილობდნენ ისინი, მით უფრო მეტად სიფათი მოუჩანდათ. კიდევ ის იყო თვალში საცემი, რომ კრებას თვით ტრუმენის რწმუნებული ვინმე კისერმორგვა მისტერი თავმჯდომარეობდა.

ჩვენ სწორედ მაშინ შევიხედეთ, როცა ზარის დარეკვის შემდეგ პატარა პაუზა დამთავრდა და ტრიბუნაზე ასულმა მორგვივით ჩამრგვალეულმა მისტერმა ქშენით დაიწყო:

— მაშასადამე, ყველაფერი ნათელია: გუშინ მოსკოვმა ახალი აგრესიული ნაბიჯი გადასდგა, გამოაცხადა ფართო მოხმარების საგნებზე ფასების დაკლება. მერე როგორი დაკლება: მრავალშემთხვევაში ფასები თითქმის განახევრებულია...

დარბაზში ხენეშა და სისინი გაისმა, სკამები აჭრიალდა, შეკრებულებმა ერთმანეთს გადახედეს, მომხსენებელმა ჩაახველა და ქლოშინით განაგრძო:

— რას ნიშნავს ეს?

ყველა კუთხიდან ყეფასავით გაისმა რეპლიკები:

— მშვიდობიანობის დარღვევას!

— კომუნისტურ აგიტაციას!

— ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევას!

— ეს ყველაფერი მართალია,—განაგრძო კისერმორგვამ,— მაგრამ რამდენადაც საბჭოთა კავშირი საკუთარ ქვეყანაში, საკუთარ საქონელზე უკლებს ფასებს, იმდენად ჩვენ ფორმალური საბუთი არ გვექნება მას საჯაროდ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევა ვუკივი-ნოთ. მაგრამ ერთი კი ცხადია, რალაც საერთო ფორმულა უნდა გამოვნახოთ, რომ უბრალო ადამიანების თვალში ფასი დავუკარგოთ ამ ფაქტს.

— თავისთავად ცხადია!

— ჰოდა, აი, პრეზიდენტმა და მთავრობამ იმსჯელეს ამის შესახებ. მე დავალებული მაქვს, თქვენთან ერთად გამოვიმუშაო ფორმულა, ვინაიდან თქვენ ბრძანდებით ყველაზე ფანტასტიკური გამოგონებების ავტორები, რითაც ჩვენი პრესა და ბირჟები იკვებებიან, ესე იგი, რითაც ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება.

— მაშ მე შემომამქვს ერთი წინადადება,—წაიღრინა ტრიბუნის გვერდით მჯდომმა ჰერსტმა,—მე შემომამქვს წინადადება ხვალღან ჩვენმა პრესამ და რადიო გადაცემამ აილოს შემდეგი კურსი (ამ სიტყვებზე მას ხანგრძლივი ხველა აუფარდა. დარბაზში ჩურჩული შეიქმნა: „როცა მისტერ ჰერსტი ახველებს, მაშინ იგი ყველაზე ფანტასტიკურ კორსას სთხზავს“).

— დიახ, შემდეგი კურსი,—განაგრძო ჰერსტმა,—საბჭოთა კავშირში საქონელზე ფასების დაკლება გამოწვეულია საბჭოთა კავშირში დაწყებული მძაფრი ეკონომიური კრიზისით. დიახ... ჩვენ უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ფასების დაკლებასთან ერთად, საბჭოთა კავშირში მუშა-მოსამსახურეებს ხელფასიც დაუკლეს და ამას აშკარად უმაღლეს იქ მოქალაქეებს. ისე რომ ჩვენ უკვე გვაქვს ხელმოსაქიდი დებულება... დიახ!..

# აი, თურმე სა ყოფილა!



დაიღუპა ვიღაც შიო,  
მოიმედე ბაზრისა!  
განა ავტომ, ან ტრამვაიმ—  
თვით ბაზარმა გასრისა.

შინ დაბრუნდა უგუნებოდ  
ძველი გადამყიდველი.  
კიბეებთან დახვდა მხოლოდ  
ცოლი მკლავებტიტველი!

სადღა არის მეზობლების  
სალამი და ბოდიში,—  
ცოლმაც ყინჩად გადმოსძახა:  
— თუ მოდიხარ, მოდი შინ!..

ყველამ თვალი აარიდა,  
მიიმაღლენ სიცილით,  
ფინიაც კი არ შემოხვდა  
კართან კულის ქიცინით...

იცის შიომ, აქ, ამ დილით  
მის წინ რა ნაპრაღია,—  
ყველაფერი ბაზრისა და  
ფასდაკლების ბრაღია!

იცის შიომ, რომ არ მოჰყვა  
შინ ამ დილით მოგება,—  
ცოლიც მიტომ არ უღიმის,  
ცოლი მსუქან-ლოყება!

უკვირს მაინც, ჯავრით ამბობს:  
— ვერა გამიგია რა,  
პურ-ღვინო კი არ მაღარდებს,  
ინდაური კი არა—

არა! ქათმის კვერცხი რაა,  
თუმნად ღირდეს ასიო,—  
ხალხის თვალში თვითონ შიოს  
დამკლებია ფასიო!

ხედავს შიო, რომ ამ დილით  
მიიჩინეს არაფრად,  
და წვრილშვილა მეზობელმაც  
თავი იგრძნო თანაბრად,

გამორჩენა რომ არა აქვს  
და ხელფასზე რომ არი —  
იმანაც კი მოათრია  
ფქვილით საყსე ტომარი!

ახალ-ახალ ტანსაცმელით  
გაახარა შვილები,—  
ხედავს როგორ მოეგებნენ  
მამას მკლავგაშლილები...



მოაქვს: ხორცი, ყველი, ხილი,  
გოჭიც მოჰყავს ბაწრითა,  
სანოვაგით დატვირთული  
შინ დაბრუნდა ბაზრიდან!

ხედავს შიო, მწუხარებით  
წარბი დაეკლაკნება:  
— აი, თურმე რა ყოფილა  
ეგ ფასების დაკლება!

დარბაზი ერთხანად გაქვავდა. დამსწრეთა შორის ყველაზე ნამუსგარეცხილი ჰანგსტე-  
რი, ყველაზე გათახსირებული კალმის ყაჩაღიც კი ირონიულად იღიმებოდა და ვერ გაეგო,  
თუ ისე როგორ დაჩლუნგდა თაღლითობაში განთქმული ჰერსტი, რომ ამაზე უფრო  
მონებრებული სიცრუე ვერ გამოიგონა? მაგრამ ეს იყო ერთხანად. როცა ჰერსტმა დაასა-  
ბუთა თავისი „ფორმულა“—ბოლოს ყველას კეკუაში დაუჯდა მისი უქკუო წინადადება.  
აბა, მაშ რა უნდა ეთქვათ? ხომ ვერ დასწერდნენ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრება  
დღითიდღე საამური ხდება, დღითიდღე უმჯობესდება მშრომელი მოსახლეობის კეთილ-  
დღეობა, მტკიცდება სოციალისტური ეკონომიკა და ფართო მოხმარების საქონელზე  
ფასების დაკლებაც აქედან ლოლიკურად გამომდინარეობს?

ეს ხომ დიამეტრალურად საწინააღმდეგოა იმისი, რაც კაპიტალისტურ „სამოთხეში“  
ხდება, ერთი სიტყვით, ეს ხომ სიმართლის თქმა გამოვიდოდა? მერე და სიმართლეს რა  
ხელი აქვს იქ, მათთან; მათს პრესაში, მათს რადიოში, მათს ბირჟებზე?

და აი, დარბაზში უცებ ტაშმა იქუხა. „ფორმულა“ ჩამოყალიბდა მარშალიზებულ  
ყველა ქვეყნისათვის საერთო, ამერიკული სტანდარტის მიხედვით.

ამ დღიდან აღმუვლდნენ მათი რადიოები, აწრიბინდნენ მათი კალმები, აკრელდა  
მათი გაზეთები საბჭოთა კავშირში „კრიზისით გამოწვეული“ ფასების დაკლების შესახებ,  
მაგრამ ყველა გონიერი მკითხველისა და მსმენელისათვის ჰერსტისეულ ბოდვებზე უფრო  
მკვერმეტყველურად ამტკიცებდა ჩვენს „კრიზისს“ კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში—  
მაღაზიების ვიტრინებიდან გამომხიარული, პრესკურანტებზე ფერადი ფანქრებით გადასწო-  
რებული ციფრები, რაც საარსებო პროდუქტებზე ფასების ახალ მომატებას ამცნობდა.



დასასვლელი



ფასები ხელმოწეულანდელია, იმიტომ, რომ...

მოგება ხელმისაწვდომი.



— ჩვენზე ამზობენ, რომ თითქმის გვეშინია მშვილობანი შეჯიბრებისა სოციალიზმთან. აკი ვეჯიბრებით!

ეს სახელი ჩვენი გასტრონომიული მალაზიის ერთ ნორის შეარქვეს. ახალმონათლული ზედმოწეულით თავიანთი კაცია.


ორკაპიკამ ყველას და ყველაფერის ყადრი და ფასი იცის. თვითველ მუშტარს ალღოს უღებს და ისე ეყვრობა, როგორც მას ევადრება. შავალითად, ჩვენს ტუბაზე რომ ევადრებოდა, ამ ავადრებოდას არასოდეს მიაყენებს მურაცხუფასს და სხვა უფრო ახალგაზრდა მუშტარს ვეგრდით რიგში არ გაიჩერებს. ამას გარდა, ერთ და ორ მანეთ ხურდას არასოდეს უბრუნებს. როგორ გვყავდრებათ, ასეთ დარბაისელ და ფულიან კაცს ორი მანეთის მიწოდება როგორ შევადროთ.

სხვა მომხმარებელს, რასაცაჩვევლია, როგორც რამენდამე ნაკლებ ფულიან კაცს, ორ და სამ მანეთს უბრუნებს, მაგარი მის რანდელს ხასიათს იმდენად არ შეურაცხუფებს, რომ აბაზი, უხალაფი, ან, რაც ყველაზე უფრო დამამცირებელია, ორი კაპიკის დაბრუნება შევადროს.

ჩემს მუშტარა შორის ორკაპიკიანი კაცი არ მოიპოვება! — იცევის ხოლმე ორკაპიკია.

ამას წინათ, ორკაპიკისადმი რწმუნებულ მალაზიში მომხმარებელი მხიარული ჩიჩქოლი იყო. ყველა გადაცემებით თავალღებდა სპონსორულ ნაჩვენებ დაღვებულ ფასებს და ორკაპიკის კმაყოფილი ტონით მიმართავდნენ:

— თუ შეიძლება, ეს ამოწმეთ...  
— აგერ იქიდან მომიტყობი...  
ორკაპიკია კი დღეს ურწმუნო ბასიათზე იყო, სწრაფად დატრიალებდა და ხელში, სწრაფად წონიდა გასასყიდ სპონსორს და.



თვეწ წარმოიღვინა, ყოველ მიღვლელს, განურჩევლად ჯიბის სიძიბისა, აბაზს, უხალაფს და, ასე გასასყიდ, ორ კაპიკ ხურდასაც კი უბრუნებდა.

— რა მოხდა, ძი ნუთუ თვეწი მომხმარებლები ორკაპიკით გიბდნენ?! — ჰკითხა ერთმა.

ორკაპიკის ნავიკისხეა მიღვლელმა მიუგო: — მანეთის კურსი განმტკიცდა, ძამბია, ახლა ორი კაპიკიც ყლია!

ორკაპიკამ პასუხ კომენტარით გვუცეთა: — საწმე მაგარი კარ არის, ჩემი მუშტარები ისე არ დავაყვობინა, რომ ორი კაპიკის ხამბე გიბდნენ, გარამ დღეს, ხომ იცი, პირველ დღეა, საწმელი გაიადფა, ბანკიდან უმარავი ხურდა ამომტარანს და ესეც არ იყო, ასანაირი ომენტარო დადის... და ორკაპიკია ორკაპიკიანების გროვას ასუსტებდა, ყველას აწვედა „უწმეწმეწმე“ ხურდასაც კი.



ოცდობარი ცალი ორკაპიკიანი მეც მომიცხურდალ ორკაპიკამ.


მას შემდეგ ყოველდღე შევიღვარ ორკაპიკისადმი რწმუნებულ გასტრონომში და პაპიროს „კაპიკის“ ვეიდულობ. მეცოდება თავიანთი ნორისი, რომ რომელიმე ინსპექტორის ბადეში არ მოხვდეს და ხურდას; ოცდობობ ორკაპიკა რატომღაც წრევილად ყრიდა და ხურდას, გუშინ კი გამომიტყდა და მის მიერვე მოცემული ორკაპიკიანი უკან დამომტრინა:

— ბატონო, მე ორი კაპიკის კაცი ვარ?!  
— როგორ გვადრებთ, მაგრამ რა ვიცი, არ მინდა ინსპექტორის ხელში ჩავაგდოთ! მრგვალი თანხა რომ მოგცეთ, ვიცი ხურდის დაბრუნების ვერ მომეძადრებთ და...

ორკაპიკამ ირონიულად ვაიღობა:

— რას ბრძანებთ, ახლა პირველი დღე ხომ აღარ არის, რა ინსპექტორია, რის ინსპექტორია. ერთი ინსპექტორია ჩვენზე მომავალდებულ და თვეწი ერთხელ მოდის. ის ინსპექტორია კი უბატონოდ ხმას როგორ გამეცემს, ახლა, ჩვენს ორკაპიკის, (ჩვენს მუშტარ, იმიტომ ვაგობ, რომ თვეწი უბანში მდებარე მალაზიებში, ალბათ, საწმელით გვათ სძიბნი ასეთი თავიანთი კაცი) ველარც მე ვაადრებ წრევილანი ხურდის მცემას, აღარც ის მკადრებს ასეთის დაბრუნებას, არც ბანკი აწუხებს ორკაპიკიანების გამოტანებით და ინსპექტორია ხომ ორკაპიკაზე უფრო თავიანთად იქცევა...

მართლაც და ვაიღობების პირველი დღე, ხომ არ არის!



— თვეწ კი თითქმის ნახევარი გირგანა დაგვილიათ, ხერ!



ბურეხილული კვერბის რეაქციული პრესა ამბობს, რომ ინსპექტორია კაპიკის ფასების მცირეობის შესახებ — ფართო მომხმარებლის საფრთხე.

— კაპიტალისტული შეწმენა თავის რიგზე, მხოლოდ ასო „მ“ შეიღვება, ამოადელი!

ვიყიდე, ღვინო მეგონა, აფხუს, დავიდე ვალიო, თურმე ნუ იტყვიო, ყოფილა ღვინონარევი წყალიო.

ამბობენ, აბაშაშიო, წყალი ამოშრა ტაშიო... ჩვენს წყალში ჩვენვე ფულს ვიხდით, რატომ, ბიძია, რაშიო?!

უჩა



— გვიყო, მამიკოს კარადიდან წიგნები გამოვიღეთ და სურათები დავათვალიერეთ! — აღარ გახსოვს მამამ რა გვითხრა: „ჩემს წიგნებს შე არ ვკიდებ ხოლმე ხელს და ბავშვებს მათთან რა გესაქმებათო“.

ინვალის მანქანა და თაღლითი მძღოლი

ცხაკაიდან გეგეპკორში წამსვლელ მანქანას ველოდებოდით. ჩვენს წინ გაჩერდა დიქტებით „შელამაზებული“ უცნაური სიდიდის ყუთი, რომლის „წილიდან“ მათუსალას დროინდელ ქრავის ნაწყვეტ-ნაწყვეტი თუხთუხი მოისმოდა. — ბერუს მანქანა... ბერუს მანქანა! — გაისმოდა პანიკის მაგვარი მითქმა-მოთქმა ხალხში. — არავინ მიეკაროს, არავინ დაჯდეს!... — განაცხადა ბერუმ, (საფიელ აჯიაშვილმა), — მანქანა არსად არ წავა!... — სად ხედავს მანქანას? — ვკითხე ერთ მგზავრს. — ავერ არ არის, ბატონო? — მომიგო მან და უცნაურ ყუთზე მიმითითა. ამის თქმა იყო და ჩემი მოსაუბრე თავისი ბარგი-ბარხანით გაქრა. მან იერიში მიიტანა უცნაურ ყუთზე, რომელიც უკვე გაქედილი იყო მგზავრებით და დიდი წვალებით ერთი მსუქანი კაცის ზურგზე მოთავსდა. იქიდან რალაც მანიშნა და ახლო — რომ მივედი, ჩამომჩურჩულა: — ბერუს ნუ უჯერი, ბიძია, გეგეპკორში მიდის. ერთი საცოდავი მგზავრის მუხლებზე მეც მოკვალათდი. ცოტა ხნის შემდეგ ბერუმ ვეფხვისებური ნახტომი გააკეთა, მანქანის საქებს ეცა და ჩვენი უცნაური ყუთი ცხონებული დონკიხოტის როსინანტივით გაჩაქაკადა. ცხაკაიას რომ რამდენიმე კილომეტრით გავცილდით, ბერუმ მანქანა გააჩერა და „მინდის“ აკრეფა დაიწყო.

— ეს რა არის, სამი თუმანი შინდა! — აუყვირდა ერთ მგზავრს ბერუ. — იმ დღეს ოც მანეთად არ წამიყვანე?! — მაშინ კარგი ამინდი იყო, ახლა ხომ ჰხედავ, წვიმას აპირებს! სვენებ-სვენებითა და ჩაქჩაკით, როგორც იყო ბანძამდე ჩავედი: — გეგეპკორამდე ვეღარ წავა მანქანა, ბენ-ზინი გათავდა! — განაცხადა ბერუმ. — იქნებ იყიდოთ სადმე, ფულს დავუშვებ... — ხვეწნა-მუღარა გაუმართეს მგზავრებმა, მაგრამ არაფერმა გასკრა. იმ ღამეს ადგილობრივ მცხოვრებლებსა და მგზავრთა შორის, ასეთი ძველებური დიალოგები გაიმართა: — სტუმარი არ გინდათ? — სტუმარი „ღვთისაა“, მობრძანდით!.. მეორე დღეს ბერუს უცნაური ყუთი ისევ თავის ადგილას იდგა უცვლელად. ხოლო როცა მგზავრებმა კვლავ ხვეწნა-მუღარა გაუმართეს: „დაპირებისამებრ გეგეპკორში წავგიყვანეო“, ბერუს ტექნიკის უკანასკნელმა სიტყვამ უეცარი ცვლილება განიცადა: გადაწყვიდელთა სიმინდით დაიტვირთა და ცხაკაიასკენ გამობრუნდა. გზაში დატოვებული მგზავრები კი სამი ღამის განმავლობაში რეპლიკებს ესროდნენ ბანძელებს: „სტუმარი არ გინდათო“?.. ამ და სხვა მრავალი შემთხვევის მოწმე ბანძელები ხშირად იტყვიან ხოლმე: — უსინათლოთა არტელის თავმჯდომარეც კი ხედავს რა ხდება თავის არტელში და ინვალისთა კოოპერაციას განა რა დაუინვალიდლა ასე!

გადაეჩვევა, თუ გადააჩვევენ?

თავისებური კაცია ილია კამკამიძე. ჯიუტობასთან ერთად ამ უკანასკნელ ხანებში მას რატომღაც „გულმავიწყობაც“ დასჩემდა. რასაც ხაფხულში დაგჭირდებოთ, ზამთარში ავიწყდება. რასაც, ვთქვათ, დღეს წაიკითხავს, მეორე დღეს აღარ ახსოვს. ჯერ კიდევ გასულ წელს ილიამ კოლმეურნეობის სახელით ხელშეკრულება გააფორმა ახალდაბის 8-წლიან საშუალო სკოლასთან და სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლისათვის 35 კუბმეტრი შეშის დამზადება-მიხიდა ივალდებულა. პირველ ხანებში კარგად ახსოვდა ილიას ეს ამბავი, მაგრამ, როდესაც სკოლამ შეშის დამზადების ღირებულება ჩარიცხა კოლმეურნეობის ანგარიშზე, ილიას კვლავ „ულალატა“ მესსიერებამ და მიავიწყდა ეს ვალდებულება. — ჯერ იმდენად არ ცივა მინცდამინც, — ასე ამბობდა იგი აგვისტო-სექტემბერში, როდესაც შეშის დამზადება-გამოზიდვას შეახსენებდნენ. — „ხვალ დავანომრინებთ საშეშე ხეებს“, „ხვალ დავიწყებთ დამზადებას“, „ხვალ მოვიტანთ“... — ასეთი პასუხებით ისტუმრებდა და ისტუმრებს დღესაც იგი სკოლის დირექციას. მაგრამ ვინაიდან ყოველ დღეს „ხვალა“ მოსდევს, ილიასაც გული საგულეს აქვს. „მაღე მოვა გაზაფხული, ვარდსაც დავკრებთ, იასაც...“ ლილინებს ილია მოსწავლეთა დასამშვიდებლად, როდესაც სკოლას ჩაუვლის ხოლმე გვერდით. — შარშანაც არ მიმიტანია სკოლისათვის შეშა, მაგრამ ამით სწავლა კი არ შეჩერებულა! — ამბობს ილია და ხაფხულის იმედით დღესაც „ხვალას“ იძახის და ხვალაც — „ხვალას“... ილიას არც რაიონულ გაზეთში („ბოლშევიკური ტემპით“) მოთავსებული წერილი ახსოვს. ამ წერილში მას უსაყვედურებდნენ იმის შესახებ, რომ ბორჯომის საფერშლო სასწავლებლისათვის დღემდე „ვერ გაიხსენა“ შეშის დამზადება, რის საფასურიც დიდი ხანია მიიღო.



„ვითვალისწინებთ რა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ილია კამკამიძის „გულმავიწყობას“, იძულებული ვართ ამჯერად ნიანგის საშუალებით მივიღოთ ზომები, რათა მომავალ ზამთარამდე როგორმე გადაეჩვიოს „ხვალა, ხვალას“ ძახილს. ვნახოთ, გადაეჩვევა, თუ გადააჩვევენ!“



შკითხველი ამ გვარის სინამდვილეში არ უნდა დაეკედეს. იგი, როგორც ახლა ახმეტაში ხშირად აღნიშნავენ, ერთ-ერთ „ბედნიერ დღეზე დაბადებულს“ და ახლობლებისათვის მართლაც ერთგულსა და დამხმარეს—მიხეილს ეკუთვნის. მართალია, მიხეილ ერთგულაშვილი პირველ მაისს არ დაბადებულა, მაგრამ სამაგიეროდ პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობას მინც „ხელმძღვანელობს“. გვარიც ხელს უწყობს, მოხერხებაც...

თეითონ ბრძანეთ, განა მეგობრებისადმი ერთგულებას არ ნიშნავს ის, რომ მიხეილ ერთგულაშვილმა საკოლმეურნეო მიწები ნორმის გარეშე და ზედმეტად მისცა თავის ახლობლებს არჩილ გილაძეს, მიხეილ მაღალაშვილს, სანდრო ქინქლაძეს, იოსებ შაშიაშვილს და სხვებს?



განა თავისი ჩვეულებისადმი ერთგულება არ არის, რომ საკოლმეურნეო პროდუქტების გაცემაშიც თავმჯდომარე იხეთი გულკეთილობა გამოიჩინა, რომ ხორბლის დებიტორული დავალიანება აიყვანა 11.804 კილოგრამამდე, სიმინდისა — 4.958 კილოგრამამდე, კოლმეურნეობაში „უზრუნველყო“ 19.000 მანეთი ხელუფალი დავალიანების შენარჩუნება და სხვ.?!

ყველა ხომ ვერც იმას მოახერხებდა, რომ თივისა და ჩალის ნაცვლად ფერმის საქონელს ნაშხით კვებავდეს, საკოლმეურნეო ქათმებსაც კერძო ბინაზე ინახავდეს და იოლად გადიოდეს, როგორც მოვლის. ისე პროდუქტების მიღებაში?!

სხვა ვინ მოიფიქრებდა, რომ სითბოს შენარჩუნების მიზნით ერთ-ერთ კერძოდ დაქირავებულ მიწურში კოლმეურნეობის 26 სულ ხბოს, ზაქს და მოზრდილ საქონელს ერთად ჩახუტებულს და ნახევრად შშიერს ინახავს?! განა ესეც საწვავის, ბინის და სხვათა მხრივ შეღავათი არ არის?!

მიხეილი ერთგულებას რომ არ ითვალისწინებდეს, განა კოლმეურნეობის კანტორის შეიღოთახიან და საბავშვო ბავის ოთხოთახიან საუკეთესო შენობებს სხვადასხვა ორგანიზაციებს გაუნაწილებდა, კოლმეურნეობის კანტორას კი ხან ერთ კერძოდ დაქირავებულ ოთახში ამყოფებდა, ხან მეორეში?!

კოლმეურნეობას რომ მართლა ერთგულაშვილი არ ხელმძღვანელობდეს, განა ვაზის, კარტოფილის, მზესუმზირას, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოვლაზე მეტი შრომა არ დაიხარჯებოდა და მოსავლის აღება არ გაძნელებოდა?!

განა გეგმით გათვალისწინებული 10 სკა ფუტკარი რომ არ შეუძენია და ფუტკრებს არავინ დაუკენია, ეს ერთგულება არ არის?!

ფერმაში რომ ძროხებს წველით ხშირად არ აწუხებს—ეს ერთგულება არ არის?!

ხეხილის ბაღის გაშენება, სასილოსე ორმოს მოწყობა, საკოლმეურნეო სამჭედლოს მშენებლობა და ათასი სხვა სამუშაო კოლმეურნეობაში, მაგრამ ამისათვის ამხ. მიხეილი რომ არც თავს იწუხებს, არც სხვას აწუხებს—ესეც ერთგულება არ არის?!

მართლაც, მიხეილს შეუძლია იამაყოს როგორც თავისი გვარით, ისე ერთგული დამცველებით, რომ იგი კვლავ „არჩეულია და ხელმძღვანელობს“ კოლმეურნეობას.

ს. ბელუჩაძე

ოტობაია (გალის რ-ნი)

ი. პოტამარაშვილს: თქვენმა ლირიკამ ნინაგი პირველი წაკითხვისთანავე გაამხიარულა: განა სამხიარულო არ არის, რომ აქამდე უაბანო ოტობაიის მოსახლეობას უცებ აბანო აუგეს, აუზები მოუწყეს და, ერთი სიტყვით, ყოველნაირად შეამკეს?

მაგრამ როცა საქმის არსს გაეცნო, ნინაგი ძალიან დაღონდა: თურმე ამ მშვენიერ აბანოში ჯერ კაცი არ შესულა, ის ნახირის სათარეშოდ გამხდარა და, ფიგურალურად რომ ვთქვათ, კომუნალურ ცხედრად გადაქცეულა.

მაგრამ ყველაფერ ამასთან შედარებით უფრო სამხიარულოც და სამწუხაროც თქვენი ლირიკაა, მასში გაბნეული მარგალიტებით:

„ოტობაიაში ამაშენეს ერთი პატარა სახლია და სახელად მე დამარქვეს ოტობაიის ბანია. გთხოვთ გვიშუამდგომლოს ნინაგმა, რომ მომეწყონ მე კარგადა...“

თუ ნინაგის შუამდგომლობა გასჭრის, იგი პირველ რიგში იშუამდგომლებ და თქვენი ლექსის წერისა და ენის ცოდნის „კარგად მოწყობისათვის“. აბანოს მოწყობაზე კი ადგილობრივმა აზნაანებმა უნდა იზრუნონ.

ს. ბორითი (ორჯონიკიძის რ-ნი)

შ. ბუკაშვილს: სოფელ ბორითის ფოსტის განყოფილება მართლაც რომ უიღბლო დაწესებულება აღმოჩნდა: ნინაგმა კარგად იცის, რომ საშახურისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის მაგ ფოსტიდან ორი გამგე ზედხედ იქნა მოხსნილი. ახლად დანიშნულ გამგეს—გრიგალაშვილს, ეს გარემოებაც კი მეტ მოჭნილობას ავალბდა. გამოდის, რომ ძველ გაკვეთილს ნაყოფი მინც არ მოუტანია. ყურნალ-გაზეთების დაგვიანება ისევ ძალაში დარჩენილა და საქმე იქამდე მისულა, რომ კლავენტების ჯანმრთელობაც კი საფრთხეში ჩაუყენებიათ.

თქვენ შემოგვიჩიეთ:

„გაზეთები ფოსტაში მოაქვთ დაგვიანებით, „ნინაგო“, მოგვეშველეთ, თორემ ვჭლებიანდებით.“

ნინაგმა გადასწყვიტა მორჩილად სთხოვოს კავშირგაბმულობის სამმართველოს, რომ მან ბორითის მცხოვრებთა ამ სახიფათო სენისგან დაცვის თვალსაზრისით მინც შაილოს ზომები ზემოაღნიშნული ფოსტის მუშაობის გამოსასწორებლად.

ძ. ცხაკაია

მსმენელს: საესებით ეთანხმება ნინაგი თქვენი ლექსის დასაწყისში გამოთქმულ აზრს:

„ყვევდა და გაიფურჩქნა დღეს ქალაქი ცხაკაია,— ვინცა ხედავს, გაიძახის: „რა კაია, რა კაია!““

ამ კარგ ქალაქში ერთი ცული ამბავი მომხდარა: თურმე მანდაურ კულტ-სახლში მოხარდებს ყურადღებით არ ეპყრობიან, გასართობებზე დასწრებას უშლიან, ჰადრაკის თამაშის უფლებას არ აძლევენ.

თუ ეს გაუგებრობა, ან რომელიმე მუშაკის პირადი დაუდგრობის შედეგი არ არის, დიდად საწყენი იქნებოდა, მაგრამ ნინაგს სწორედ გაუგებრობად მიაჩნია ისევე როგორც დაუშვებელ მოვლენად მიიჩნევა იმას, თითქოს კულტ-სახლში ახარტულ სათამაშოდ იყენებდნენ ზოგიერთები დომინოსა და ნარდს.

რაც არ უნდა იყოს, ნინაგს არ შეუძლიან არ დაეთანხმოს თქვენი ლექსის ბოლოში გამოთქმულ აზრს:

„ნაკლი უნდა გამოსწორდეს, რაც ჩვენ გულით გავგანაზრებ...“

საკრედიტო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. შგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მე. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ხელმოწ. დასაბ. 1950 წ. 24/III. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შგკ. № 380. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ხარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შგკ. № 831. თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42. გამოც. № 31. ტირ. 11000. უფ. 01490.



დღეს ტრუმენული ინკვიზიცია  
 ერეტიკოსად აცხადებს ყველას,  
 ვინც დოლარის და ახალი ომის  
 რელიგიაში არ ხედავს „შველას“...

კოცონის ნაცვლად—ელექტრო-სკამზე  
 თავისუფლების ძეგლიც ზის ბოლოს,  
 როგორც საშიში ელემენტი და  
 ხალხთა გშვიდობის რწმენის სიმბოლო.